სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N96

ქალაქი ბათუმი

10 დეკემბერი 2014წ

ერთის მხრივ ა(ა) ი.პ. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის თამარ მესხიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „მეტალკლასს" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის ტელმან ჩახალოვის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულებისსაგანი

2.1. **ხელშეკრულების საგანია: 1 ცალი რკინის კარის, ზომით 1,22*1,65, ორმაგი გასაღებით,** შემენა (**CPV კოდ- - 44200000) .**

2,2 დაფინანსების წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. **ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს:** 350 (სამასორმოცდაათი) ლარი;

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქონლის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. საქონლის მიწოდების პირობები და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს 2014 წლის 25 დეკემბრამდე.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილია შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის მიხედვით შუალედური/საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და

შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენიდან 15 დღის ვადაში. მიმწოდებელს პრეტენზია არ ექნება აუთვისებელ თანხაზე.

7. გარანტია

7.1. მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და არსებულ სტანდარტებს.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.07 პროცენტის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარიგადახრაანცვლილებახელშეკრულებისპირობებშიარდაიშვებაორივემხარისმიერხელმ ოწერილიწერილობითიშესწორებებისგარდა.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3. ხელშეკრულებისპირობებისნებისმიერიცვლილებაუნდაგაფორმდესხელშეკრულებისდანართისსა ხით, რომელიცჩაითვლებახელშეკრულებისგანუყოფელნაწილად.

11.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1. საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

14.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

14.3. არცერთმხარესარააქვსუფლებაგადასცესმესამეპირსთავისიუფლებებიდამოვალეობები, მეორემხარისწერილობითითანხმობისგარეშე.

მესამეპირებთანურთიერთობაშიმხარეებიმოქმედებენთავიანთისახელით, ხარჯებითადარისკით.

14.4. ხელშეკრულებადადებულიასაქართველოსკანონმდებლობისშესაბამისადდაინტერპრეტირებული იქნებასაქართველოსკანონმდებლობისმიხედვით.

14.5. ნებისმიერიშეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომიწარდგენით,ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებისძალაშიშესვლისდადგენილდღეს, იმისმიხედვით, თუამთარიღებიდანრომელიუფროგვიანდგება.

14.6. ხელშეკრულებადამასთანდაკავშირებულიმთელიწერილობითიმოლაპარაკებებიდასხვადოკუმენ ტაცია, რომელიცგაიცვლებამხარეთაშორისშესრულდებაქართულენაზე.

14.7. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან (მხარეთა ხელმოწერის დღიდან) და მოქმედებს 2014წლის 31 დეკემბრამდე.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ა.ა.ი.პ. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე
6000, საქართველო, ქალაქი ბათუმი
გამსახურდიას ქუჩა N37
ს/კ445 404 820
ს.ს. „ თიბისი ბანკი"
მფო TBCBGE22
ა/ა GE20TB7394336080100001

მიმწოდებელი:
შპს „მეტალკლას"
საქართველო, ბათუმი
9 მარტის ქუჩა 16
ს/კ 448388423
ს.ს. „თიბისი ბანკი"
მფო TBCBGE22
ა/ა GE76TB7017136080100005

ტალმან ჩახალოვი
დირექტორი